№ 61
ოთხშაბათი, 20 მარტი 1902 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერი შაურ ჯ

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 61
ოთხშაბათი, 20 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

ტფილისი
საქართ. საჯარო ბიბლიოთეკა

1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

,,ივერია"

ღირს რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія". ტელეფონი № 227.

ტფილისის ათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი წესდების 91 §-ის ძალით ამით აუწყებს ბბ-ნთ რწმუნებულთ, რომ აპრილის 25-ს ამა 1902 წლისას, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში დანიშნულია

მორიგი წლიური კრება

განსახილველი საგნებია:

1. ზოგადი მოხსენება ბანკის მოქმედების ანგარიშის შესახებ 1901 წ.
2. განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედების ანგარიშისა 1901 წლისა.
3. განხილვა და დამტკიცება ბანკის სავარაუდო შემოსავლისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
4. მოხსენება კომისიისა, რომელშიაც არიან წევრნი ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობისა ბ-ნთ რწმუნებულთა არაჩვეულებრივ კრების იმ გარდაწყვეტილებისა, რომელიც წარსულ 1901 წლის დეკემბრის 10 იქმნა დადგენილი.
5. არჩევანები გამგეობის ორის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას, ესე იგი უგანათ. თ. მიხეილ გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების-ძის მამაცაშვილის მაგიერ და ორის მათის კანდიდატისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ერთისა თ. ლევან ლევანის-ძის ჩერქეზიშვილის მაგიერ, რომელიც რიგით ანებებს თავს დამფასებლის თანამდებობას და მეორისა იმ ორის მაგიერ, რომელნიც შარშან იქმნენ ამორჩეულნი, ესე იგი თ. ი. გ. ჯორჯაძისა და თ. გ. ი. რატიშვილის მაგიერ და აგრეთვე არჩევანი მათის კანდიდატებისა.

შენიშვნა: კრება რწმუნებულთა კანონიერად იქმნება ცნობილი, რამდენიც უნდა იყოს რიცხვი კრებაზედ მოსულ რწმუნებულთა.

(3—ნ.—3)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი, 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.)

ბაშინჯალიანის სურათების გამოფენა.

—

ტფილისის სამხატვრო საზოგადოება, რომელიც ამდენი ხანია არსებობს, ისე გულგრილად ეპყრობა ხელოვნების საქმეს, რომ საერთო სამხატვრო გამოფენის გამართვას ხუთს წელიწადში ერთხელაც ვერ ახერხებს, თუმცა ვალდებულია წესდებით მართოს ამისთანა გამოფენები. ამიტომ ზოგიერთი მისი ნამდვილი და ნიჭიერი წევრი იმედ-გადაწყვეტილი, რომ საერთო საამხანაგო გამოფენას ვერ მოესწრება, იძულებულია მხოლოდ თვის ნაწარმოებთა გამოფენა გამართოს ხოლმე. პირველი მაგალითი ჩვენში ამისთანა გამოფენისა გვიჩვენა ბ-ნმა გაბაშვილმა. ახლაც, ეს ორი დღეა, გაიმართა ბ-ნ ბაშინჯალიანის გამოფენა.

ამისთანა გამოფენების ნაკლი ის არის, რომ მხატვარი, რომელსაც უნდა გვიჩვენოს თვისის ნიჭის ნაყოფი და დაგვანახოს წმინდა ხელოვნება, მარტო თავისს სურათებსა ჰფენს. ცალკე გამოფენას უნდა ბლომად სურათები, ამიტომ ისინი თავის საუკეთესო სურათებთან ერთად ჰფენენ იმისთანა ნაწარმოებსაც, რომელიც ღირსი არ არის გამოფენისა ჵ არც მათის ნიჭის შესაფერია. მეორე ნაკლი ის არის, რომ გამოფენის მმართველმა მაყურებელნი არ დაღალოს ერთ გვარ მანერით, რომელიც შეადგენს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „ხელს" ამა თუ იმ მხატვრისას, იძულებულია წაჰბაძოს სხვა მხატვრების მანერას, ჟანრს და ამით თავისს ერთ-ფეროვანს გამოფენას მრავალ-ფეროვანი ხასიათი მისცეს.

მე მინახავს ერთი მსახიობი, რომელიც ერთსა და იმავე პიესაში სუყველა როლებს მარტო თითონ ასრულებდა,—ქალის, კაცის, ბებრის და სხვა მრავალ ხასიათის როლს. მაგრამ სცენაზე თუ შეიძლება სხვის სახის, ხასიათის, ან სხვის მიხვრა-მოხვრის წაბაძვა, მხატვრობაში ნამდვილმა მხატვარმა არ უნდა იკისროს ასეთი საქმე. მხატვრობაში დიდი გულწრფელობაა საჭირო და, როგორც პოეტი ვერ შეჰქმნის იმას, რაც მის გულს ღრმად არ უგრძვნია, ისე ხელოვანი მხატვარი. როგორც პოეტურს ნაწარმოებს დაეტყობა სიყალბე, ისე მხატვარს ნაწარმოები გამოაშკარავებს, თუ გულწრფელობით არ შეუქმნია თვისი ნამოქმედარი. ეს ფიქრი დამებადა ბ.-ბ. გაბაშვილისა და ბაშინჯალიანის გამოფენების ნახვით. ამ ორს საუკეთესო მხატვარს, ასე თუ ისე, თავიანთი მანერაც და ელ-ფერიც აქვთ და ,რომ კარგი ორგანიზაცია ჰქონოდა ტფილისელ მხატვრების საზოგადოებას და პერიოდული ყოველ-წლიური გამოფენები გაემართა, ყოველი მხატვარი მიიტანდა ერთს ან ორს თავისს საუკეთესო ნაწარმოებს და ამით შესდგებოდა პატარა და ჩინებული მრავალ-ფეროვანი გამოფენა.

ასეთი გამოფენა დააკმაყოფილებს საზოგადოებას, წაახალისებს, ინტერესს გაუღვიძებს და მოუთმენლად დაუწყებს ლოდინს სხვა ამ გვარ გამოფენასაც.

სწორედ მეტად ერთ-ფეროვანია ახლანდელი ბ-ნ ბაშინჯალიანის გამოფენა, როგორც ჟანრის მხრივ (პეიზაჟი), ისე მით, რომ ყველა სურათი ერთის ავტორის ნაწარმოებია. თუმცა ეს მხატვარი ორ წელიწადზე მეტს ხანს იყო საზღვარ-გარედ, მაგრამ მისი მანერა შეურყეველი და უცვლელი დარჩენილა. მაინც შესაძლოა რამდენიმე საუკეთესო სურათი აღვნიშნოთ: (13) მთვარიანი ღამე გოქჩის ტბაზე, (9) ღამე კასპიის ზღვაზე, (29) ღამე ტფილისში, (53) ბაქო ღამით.

ყველა ეს სურათი გრძნობით არის დახატული და მხატვარს კარგად ეხერხება ღამის დახატვა. განსაკუთრებით შესამჩნევად ეხერხება ღამის წყვდიადში მბჟუტავი და მოელვარე სინათლე.

შესანიშნავია (8) ზღვის მყუდროება. ეს სურათი საოცარის ოსტატობით დაგვიყენებს თვალ-წინ დამშვიდებულს და მოკრიალებულს მოლიპულს ზღვას. ამისთანა მანერა არსად არ მინახავს და სჩანს, მხატვარმა თვით შეჰქმნა იგი თვისის გრძნობის გამოსახატავად.

კარგი სურათია რცხილის (12) ტყე შემოდგომაზედ. კარგი სურათია (24) სიყვარულის ქვები (ბორჯომში); დახავსებული დიდრონი ქვები ჰყრია პატარა ღელეში; წმინდა, უმანკო, ანკარა წყაროსავით მოჩუხჩუხებს და ვისაც შეუძლია გაიაროს ამ მოლიპულს ქვებზე ისე, რომ არ ჩაუსხლტეს ფეხი ყინვასავით ცივს წყალში, ის მართლაც ღირსია სიყვარულისა და ცელქი ღელეც სიყვარულის ჰანგებს უგალობს; მაგრამ, ვაი, იმის ბრალი, ვისაც ფეხი ჩაუსხლტება. იმას უეცრივ გააცივებს ცელქი ღელე თვისის ცივის ალერსით...

საერთოდ ამ გამოფენაზე მალე მოგწყინდებათ ერთგვაროობა, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, კარგის სურათების სიმცირის გამო.

ერთი მცირე შენიშვნა გამოფენის კატალოგზე. რად დასჭირდა ბ-ნ ბაშინჯალიანს სურათების ფასების გამოქვეყნება? ვინც მოინდომებს ყიდვას, შეუძლიან კასირს ქალს მიჰმართოს და იქ შეიტყოს ფასი. ფასის გამოცხადება-კი ბაზრულს, არა პოეტურს შთაბეჭდილებას იქონიებს მაყურებელზე; ვსთქვათ, რომელმამე სურათმა მოგიყვანათ აღტაცებაში და თქვენთვის დაუფასებელი გგონიათ; ხოლო რა ჩაიხედამთ კატალოგში, გული მოგდით, რომ ის სიამოვნება, რომელიც თქვენ იგრძენით, ღირს 2000, 200, ან 20 მანეთი. არა, რა საინტერესოა ეს ფასები თქვენთვის, რომელსაც იმდენი შეძლება არა გაქვთ, რომ იყიდოთ ესა თუ ის სურათი და გინდათ მხოლოდ დასტკბეთ ესტეტიურად? თქვენი სურვილი იყო კომერციის და ცხოვრებას მოჰშორებოდით, რომელიც ასე ახავსებს ადამიანის გულს და თქვენ-კი ეს კომერცია და პროზა ხელოვნების ტაძარშიაც თავიდგან არა გშორდებათ?

როგორც შევიტყეთ, ამ დღეებში შესდგება კრება მხატვრების საზოგადოებისა ახალის თავმჯდომარის და მდივნის ამოსარჩევად. იმედი გვაქვს, საქმეს უკეთ მოაწყობენ, ძველს სამხატვრო სკოლასაც გამოაცოცხლებენ და ყოველ წლიურ გამოფენის გამართვის საქმესაც მოაწესრიგებენ.

ია—ია.

ახალი ამბავი

—

◆ ტფილისის არტისტები ქალბ. ბრონსკაია და ბ-ნი კამიონსკი ამ დიდ-მარხვაში პეტერბურგში მღერიან, ერთი—ლიუბიმოვის ოპერაში, ხოლო მეორე თ-დ ალექსი აკაკის ძის (ჩვენის პოეტის შვილია) წერეთლისაში. ორთავე მომღერალი დიდად მოსწონთ თურმე.

◆ ჩუღურეთის საკვირაო სკოლის გამგე მარიამ ვახ. მაჩაბელი და ნაძალადევის საკვირაო სკოლის გამგე თამარ ჩიჯავაძე გულითადს მადლობას სწირავენ ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსს კირიონს და იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს, რომელთაც ზემო დასახელებულ სკოლებს შემოსწირეს: პირველმა ოთხი თუმნისა და მეორემ ხუთი თუმნის წიგნები.

◆ რედაქციამ მიიღო „მოამბის" მეორე ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) ევა, რომანი ჯიოვანნა ვერგასი, თარგმანი ალ. დ. წინამძღვარიშვილისა (დასასრული); 2) ლადიკო—მოთხრობა მელანიასი; 3) დაძირული ზარი—დრამა ხუთ მოქმედებად, გერგარტ ჰაუპტმანისა, თარგმანი ინ-ანისა; 4) არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი.—ე. თაყაიშვილისა; 5) ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი—მისივე; 6) თეატრი და მწერლობა; 7) უცხოეთის მიმოხილვა; 8) დამატება—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყისიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე—ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა.

◆ ამ დღეებში ტფილისში უნდგა შესდგეს მატარებელთა ყველა რევიზორების კრება, რომელზედაც უნდა განსაჯონ, თუ რა ღონისძიებით შეიძლება ამოკვეთონ მგზავრთა უბილეთოდ წაყვანა კონდუქტორებისაგან. კრებაზე თავმჯდომარედ იქნება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ახალი უფროსი ბ-ნი ივანოვსკი.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას გადაუწყვეტია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს 40 წლის მღვდელმთავრობის აღსანიშნავად დაჰკიდოს სემინარიის დარბაზში მისი სურათი: ყოვლად სამღვდელო უხუცესი მოწაფე ყოფილა სემინარიისა, სადაც კურსი დაუმთავრებია 1845 წელს.

◆ დღეს ვაჟთა პირველ კლასიკურ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრება ამ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განსახილველად.

◆ მარტის 17 ს. გორში გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით შესდგა გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის წევრთა მეორე კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს: ა) ეთხოვოს მიწათ-მოქმედების მინისტრს, რომ ამხანაგობას ნება მისცეს შეიტანოს წესდებაში ახალი მუხლი, რომლის ძალითაც ყველა წევრი სინდიკატისა ვალდებული იყოს მთელი ჰირნახული სინდიკატს ჩააბაროს; ბ) ყველა წევრებმა ერთმანეთ შორის დასდვან ხელშეკრულობა—წრეულსვე ჩააბარონ სინდიკატის გამგეობას მთელი ჰირნახული და გ) დაევალოს გამგეობას შეიმუშაოს პროექტი იმ წესისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს წევრმა სინდიკატისათვის თავისის ჰირნახულის ჩაბარების დროს. ეს პროექტი გამგეობამ უნდა წარუდგინოს სინდიკატის წევრთა შემდეგს კრებას, რომელიც აპრილის 7-ს დანიშნეს.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის თავმჯდომარედ თ-დი გ. ბაგრატიონ-დავიდოვი, დირექტორებად თ-დი გ. ნ. დიასამიძე, თ-დი კ. ამირაჯიბი და გამგე-დირექტორად თ. ჯავახიშვილი.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: ,,საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი'', მოსე ჯანაშვილისა, გვ. 191, ფასი ათი შაური. წიგნი დაბეჭდილია ქუთაისს, ღამბაშიძის სტამბაში. ავტორს უსარგებლია ყველა იმ მასალებით, რომელნიც-კი ბოლოს წლებში გამოქვეყნდა ჩვენსა და რუსულს ენაზე.

◆ ჩვენის საეკკლესიო მუზეუმის საფასით იბეჭდება და მალე გამოვა „სისტორიო და საარქეოლოგო წერილების" კრებული.

◆ «Нов. Обозр.» სწერენ ბაქოდგან, რომ სხვა კანდიდატთა შორის ბაქოს ქალაქის თავად ასახელებენ აგრეთვე ინჟენერს კ. ი. ხატისოვსა.

◆ ამ თვის 18-ს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ერევნის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თედორე პადალინისა, რომელსაც თავისის ცოლის სიცოცხლეში კიდევ მეორე ცოლი შეერთო და საჭირო საბუთები ყალბად შეედგინა. სასამართლომ პადალინს გადაუწყვიტა: ყოველ განსაკუთრებით პირად და წოდებრივ უფლებათა და უპირატესობათა ახდა, საეკკლესიო მონანება და სამის წლით პატიმართა გამასწორებელი რაზმი.

◆ 17 მარტს შესდგა საზოგადო კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა; პირველად კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსულ 1901 წლის საზოგადოების ანგარიში. ვაჭართა საზოგადოებას 1901 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 189,684 მან. 78 კაპ., ხარჯი-კი 167,027 მან. 76 კაპ., ასე, რომ შემოსავალი საზოგადოებას დარჩენია 22,626 მან. 22 კ.; აქედგან უნდა გამოირიცხოს 3,424 მანეთი, რომელიც ეკუთვნის ტფილისის საკომერციო სასწავლებელს და საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ექმნება სულ 19,235 მან. ანგარიშის შემდეგ კრებამ განიხილა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს მოხსენება და გარდასწყვიტა დაბეჭდოს საბჭოს ანგარიში და წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს. რადგანაც ვაჭართა საზოგადოებამ უკვე მიიღო ფინანსთა სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება ტფილისში დასაარსებლად განზრახულ სავაჭრო სკოლისა, კრებამ 17 მარტისავე სხდომაზე გარდასწყვიტა აღნიშნულ სკოლის პირველი ორი კლასი გახსნან ამა მიმდინარე წლის სექტემბერში. სკოლის შესანახად გადადებულ იქმნას ვაჭართა საზოგადო საშუალებიდგან 8,875 მან. პირველს წელიწადს ხარჯის დასაფარავად საზოგადოებას შემოუვა 6,400 მ., ხოლო თავის საშუალებიდან უნდა დაუმატონ 2,500 მან., მაგრამ საზოგადოებას იმედი აქვს, 1903 წლისათვის ზედ-მეტ ნახარჯს გაინაღდებს სკოლის შემოსავლიდან. დასასრულ კრება შეუდგა მოხელე პირების არჩევანს. ვაჭართა მამასახლისად ამორჩეულ იქმნა ისევ ბ. დავიდოვი, ხოლო მამასახლისის ამხანაგებად—ბ.ბ. შადინოვი და აკოფოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ.ბ. მილოვი, ახვერდოვი და ტერ-ოსიფიანცი (,,ცნ. ფურც.'').

—

იმერეთის ამბები:

—

◆ ზემო იმერეთი: რამდენიმე წელიწადი გადის, რაც მეაბრეშუმეობამ ფეხი მოიდგა და გზა გაიკვლია ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოში, სადაც ყოველ წლობით რამოდენიმე ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი მოჰყავთ ადგილობრივ მცხოვრებლებს და უფრო-კი გლეხობას. ამითი ყოველ წლობით ერთი მეორეზე არა უმცირეს 50 მან. შეიძენს თითოეული ოჯახი ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოში. იმდენად მიჩვეულნი არიან მეაბრეშუმეობას ქვემო-იმერეთში, რომ ხშირად გვინახავს, რომ ზემო-იმერეთიდან აბრეშუმის ჭიისათვის ნაყიდი თუთის ფოთოლი ფუთობით წაღლოთ ხოლმე.

სამაგიეროდ და სამწუხაროდ ზემო-იმერეთი (შორაპნის მაზრა) ძრიელ უკან არის მე-

აბრეშუმეობაში ჩამორჩენილი. არ ყოფილა მაგალითი, რომ რომელსამე წელს მთელს შორაპნის მაზრაში პარკი 200—300 ფუთს ზევით მოეწიოსთ.

დღემდის კიდევ დარწმუნებული ვიყავით, რომ შორაპნის მაზრაშიაც იჩენდა მეაბრეშუმეობა თავს და თუ წინ ვერ გაურბენდა ქვემო-იმერეთს და გურია-სამეგრელოს, უკან მაინც არ ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც არ იქნა და არა, დავრჩით ისევ იმედ-გაცრუებულნი...

რა არის მიზეზი, რომ ზემო-იმერეთში მეაბრეშუმეობას არ ეტანებიან? თუ ვიტყვით იმას, რომ ვერ იხეირებსო, სრული სიცრუე იქნება ეს. ყველასაგან დამოწმებულია, რომ ზემო-იმერეთი უფრო შესაფერია მეაბრეშუმეობისათვის ჰავით და სითბო-სიცივით, ვიდრე ქვემო-იმერეთიო. აქ ბუნება არაფერს შუაშია. მიზეზი სულ სხვა არის. მეაბრეშუმეობა უფრო დედაკაცების ხელობაა და ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოშიაც მთლად ქალებს მოჰყავთ აბრეშუმი. ხოლო ზემო-იმერეთში-კი, სამწუხაროდ, აქაურ ქალთა უცნაური ჩვეულება ნებას არ აძლევს მათ ასეთს მოსაგებს შრომას ხელი მიჰყონ და მით ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესონ!

კარგი იქნებოდა, რომ ზემო-იმერეთში მეაბრეშუმეობის წინსვლისათვის მიექციათ ყურადღება დაბებში ჩვენებურსავე მოვაჭრეებს, რომ ხალხი მისჩვეოდა მეაბრეშუმეობას, რასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, აგრეთვე სხვა-და-სხვა ალებ-მიცემობის გაცხოველებისათვისაც.

კარგი იყო, რომ ზესტაფონის შეძლებულ ვაჭრებს ერთი ფარდული მაინც გაეკეთებიათ დ. ზესტაფონს, თანახმად ქუთაისის გუბ. პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მმართველის წინადადებისა, ამ ამხანაგობის საამხანაგოდ. მაშინ შეიძლებოდა უფრო ხელ-საყრელი გამხდარიყო მეაბრეშუმეობა თითო-ოროლოსთვის მაინც, ვისაც ამ ჟამადაც მოჰყავს აბრეშუმი. ახლა-კი ვიღაც ჩარჩებს უნდა მიჰყიდონ ჩალის ფასად.

◆ ახალ-სენაკი: 3 მარტიდგან აქეთ მშვენიერი გაზაფხულის ამინდები იდგა. მხოლოდ ხან-და-ხან აღმოსავლეთის ღონიერი ქარი დაიქროლებდა, მაგრამ ამით ზიანი არაფერს მისცემია. 16 ამ თვეს, საღამოს შვიდ საათზე, ცა უცბად მოიღრუბლა, ზღვის ქარმა დაჰბერა. ატყდა საშინელი ელვა-ქუხილი და სხვილი წვიმა დაუშინა. ისე ღონივრად გრგვინავდა, რომ კაცს მეორედ მოსვლა ეგონებოდა. ზოგან სახლების შუშები დაიმტვრა. რეტ-დაცემული ფრინველები აქეთ-იქით დაფრინავდნენ და ჰყიოდნენ... ახალ-სენაკიდგან 3—5 ვერსზე, სოფ. თეკლათში, სადეპეშო რკინის ბოძები ათამდის მეხმა მიამტვრ-მოამტვრია და გააფუჭა. მაღლობ ადგილებში რამდენიმე მეხ-დაცემული და გაპობილი დიდი ხე ნახეს.

წერილი ბათუმიდგან

ბათუმი ძლიერ მალე იზრდება. დღეს 30 ათასზედ მეტი მცხოვრებია აქ. უფრო ქართული ენა მეფობს. გარშემო მცხოვრებთ ქართველ მაჰმადიანთ-კი დღესაც სალათის ძილით სძინავთ, მაგრამ მოვა დრო, როცა ესენიც გაიღვიძებენ, და სოფელი და დაბა ქალაქს დაუახლოვდება. მაშინ ქართველი მაჰმადიანი ისეთივე შვილი იქმნება თავისის ქვეყნისა, როგორც დანარჩენნი ქართველნი არიან.

ბათუმის მხარეში ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთა შორის ყველგან ისევე ისმის, როგორც ქართლსა, კახეთსა და იმერეთში. ასევეა ბათუმში. ყველგან უმეტესად ქართველობა იკიდებს ფეხს, ქალაქის ნახევარი ქართველობაა. დღიურ მუშათა რიცხვიც ერთობ დიდია აქ. მარტო ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 3500—4000 სულამდე გახლავსთ.

ქართველნი კათოლიკენი დიდს საქმეს შეუდგნენ. იკეთებენ ვრცელს, შესანიშნავს ეკლესიას, რომელიც ერთობ დიდი ფული ჯდება და დიდი, მშვენიერი, განსაცვიფრებელი რამ შენობაც არის, დიდის ხელოვნებით აგებული და ძვირფასად შემკობილი. ეკლესია მთავრდება და შიგ კედლების დახატვას აღგიან ახლა ოსტატები. ეკლესიის წინ, შესავლის მაღლა, მარცხნივ, სდგას ანდრია მოციქულის ძეგლი; მარჯვენა მხარეს წმინდა ნინოა გამოქანდაკებული მთელის ტანით, შესანიშნავად, ძვირფასად.

ეკლესიის დამთავრება ძრიელ გაუჭირდათ, მაგრამ ხარჯი თავს იდვა ჩვენის ქვეყნის ქველმოქმედმა მამულიშვილმა სტეფანე კონსტანტინეს ძემ ზუბალაშვილმა, რომელიც ამას წინად ბათუმში იყო და ეკლესია დაათვალიერა.

ქართველ კათოლიკეთ ეშველათ, როგორც იქმნა, გაუკეთდათ მშვენიერი ეკლესია და ბათუმის ქართველ მართლ-მადიდებელთ-კი, რომელთა რიცხვი აქ მცხოვრებთა ნახევარზედ მეტია, ერთი ქართული ეკლესიაც არა აქვთ. თუმცა ქართულ ეკლესიისათვის ადრევ აქაურმა ქართველობამ ქალაქის გამგეობას კაი მოზრდილი ალაგიც გამოსთხოვა, ეკლესიის ასაშენებლად ფულიც მოაგროვეს, საძირკველიც ჩაჰყარეს, მაგრამ ყოველივე ეს დღეს ყველას მიავიწყდა, საეკლესიო ალაგი უდაბნოდ გამხდარა და ვგონებთ, აქაურ ქართველებს ეკლესიის აშენება აღარც-კი ახსოვთ.

დღეს ბათუმის ქართველთათვის დიდად საჭიროა ქალთა დაბალი სასწავლებელი, რომლითაც შეიძლებოდეს მომზადება ბავშვებისა პროგიმნაზიასა და გიმნაზიაში შესასვლელად. ბათუმში ასეთი სასწავლებელი ყველა სჯულისა და ტომის ერსა აქვს და ქართველებს-კი არ აბადიათ. ამ მოთხოვნილებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მართლაც რომ დიდად საჭიროა სკოლის გამართვა. საშვილიშვილოდ სამადლო საქმეს იზავს და ნამდვილს ძეგლს აიგებს, ვინც-კი ამ საქმისათვის იზრუნებს რასმე და ბათუმის ქართველობას პატარა ქალებისათვის მოსამზადებელ სკოლას დაუარსებს.

ასეთის სკოლის ნაყოფს ისევე მალე ვნახავთ, როგორც აშკარად ვხედავთ დღეს ბათუმის ქართულ სავაჟო სკოლის ნაყოფსა. დღეს ამ სკოლის მოწყალებით თვით მდაბიოთა შვილებმაც-კი იხილეს გიმნაზიის კარები; რამდენიმე ქართველ მაჰმადიანთა შვილიც-კი შევიდა ბათუმის გიმნაზიაში სასწავლებლად.

სამწუხაროდ, ეს სკოლა მეტად ღარიბია და იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ან მასწავლებელნი დააჯილდოვოს შესაფერად და ან თვით სკოლა შეკეთდეს რიგიანად. აქაური ქართველობა დიდად სცდილობს შეეწიოს თავის დახმარებით ტფილისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელიც ჰხელმძღვანელობს ამ სკოლას, მაგრამ რა უნდა შესდგეს თითო-ოროლა მანათობით მოგროვილ შეწირულებით. სკოლის შენობა ამ ჟამად აუცილებლად ითხოვს შეკეთებას. რაც ეს შენობა გაკეთდა, მას შემდეგ არ შეკეთებულა. აქაური ჰაერი და ჰაერის ცვლილება დიდს ზიანს აძლევს საზოგადოდ აქაურს სახლებსა და, რასაკვირველია, ჩვენს ფრიად სასარგებლო ქართულ სკოლის შენობასაც.

სკოლის ოთახებში ბევრს ალაგას კედლები დამსკდარა, იატაკს ძირს დაუწევია. მოსწავლეთა რიცხვი-კი მეტად დიდია. თითქმის ყოველ კუთხიდგან მოჰყავთ აქ ბავშვები. უმეტესად მათი ნაწილი სულ ქართველ ხელოსნებისა, მუშა ხალხისა და წვრილ ვაჭართა და მოხელეთა შვილებია.

რუსთაგან ბათუმის დაჭერის შემდეგ მეორე წელიწადს ერთმა ქართველმა მესტამბემ 1879 წ. სტამბაც დააარსა აქ. 1880 წ. ბათუმში თავ. ვაჩნაძემ გაზეთის „ბათუმის ფურცლის" ბეჭდვა დაიწყო; 1880 წლებში თუ ბათუმს ერთი სტამბა იყო, დღეს, ე. ი. 1902 წ., ერთი სტამბის მაგიერ რვა სტამბა არის. სამი ქართველთ ეკუთვნის. აქაურს სტამბებში ქართული წიგნებიც იბეჭდება. ერთს სტამბაში დღეს იბეჭდება „ინგლისის ისტორია", მთელი ტომი, 500 გვერდზედ მეტი, თარგმნილი კ. ჩიკ—ძის მიერ. მეორე სტამბაში იბეჭდება „თამარიანი", პოემა თ. გუგუნავასი. სხვა წვრილი წიგნაკიც ბევრი იბეჭდება, მაგრამ მათ აქ არ ჩამოვთვლით.

როგორც სასტამბო საქმე მიდის წინ, ისე წიგნის მაღაზიებიც მატულობს. მარტო ბათუმში სამი წიგნის მაღაზია აქვთ ქართველებს. ერთს ქართველ მეწიგნეს წიგნების დამტარებელი ბიჭიც დაუჭერია, რომელსაც მუდამ დღე ქართული წიგნები კალათით დააქვს და, როგორც შევიტყე, აქა-იქ მუშა ხალხში წიგნებიც კარგად იყიდება.--ქართულ წიგნებსაო. მითხრა ამ ბიჭმა—თვით ქართველი თათრებიც-კი ჰყიდულობენ, ნამეტურ ბეგები, რომლებიც სოფლებიდამ ჩამოდიან და აქა-იქ ბათუმის სასტუმროებში დგებიან, მაგრამ დიდრონს, კაი ქართულ წიგნებს თხოულობენო.

საჭიროა, რაკი ბეგებში მაინც გაუღვიძნია უკვე სურვილს ქართულ ენაზედ წიგნის კითხვისას, ამ გარემოებას ბათუმის ინტელიგენციამ ყურადღება მიაქციოს, ნამეტურ იმ წრემ, რომელიც აქ არსებობს და ქართულ წიგნებსაც ჰბეჭდავს და ამ დამტარებელს ყოველნაირი ქართული წიგნები მოუპოვოს და მით სალსარი მისცეს, რომ ბათუმს და მის საოლქო სოფლებში ქართულად მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართულ წიგნების კითხვის ხალისმა ფეხი აიდგას.

ბათუმის ერთად-ერთს სამოქალაქო სამკითხველოში მეტად დიდ-ძალი ხალხი დადის; სამკითხველო ერთის ოთახისაგან შესდგება, რომელსაც სიგანე ორი საჟენი აქვს და სიგძე-კი მეტი, მაგრამ მთელი დღე ისეა ხალხით სავსე, რომ კაცი ხელს ვერ მოიქნევს. ყველა ჰგრძნობს ამ სამკითხველოს გაფართოვების საჭიროებას, მაგრამ ჯერ-კი ამ საქმეს მზრუნველი და გულ-შემატკივარი არ აღმოსჩენია.

ზ. ჰ.

ნარკვევი.

ამ ბოლოს დროს ერთ საჭირ-ბოროტო კითხვად გადაიქცა სოფლისა და ქალაქის, სასოფლო-სამეურნეო და დამამუშავებელ მრეწველობის ურთიერთობა. წინად იმდენად არავინ აქცევდა ყურადღებას სოფელს, ახლა-კი ყველგან დიდს ინტერესს იწვევს სოფლისა და მიწის საქმე.

დასავლეთ ევროპაში, ამბობს გაზეთი „რუსკ. ვედ.", ეს ინტერესი გამოიწვია ორმა გარემოებამ: სასოფლო-სამეურნეო კრიზისმა და მუშათა პარტიის სურვილმა, რომელიც ცდილობს მიიმხროს თავისკენ გლეხ-კაცობა. მიწათ-მოქმედების გაჭირვებამ დაბადა აგიტაცია მიწათ-მომქმედთა შორის სასოფლო მრეწველობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა გამოსანახავად; ამავე დროს გამოცდილებამ დაარწმუნა მარქსის მიმდევარნი, რომ სასოფლო მეურნეობის ევოლუცია ძირითადად განსხვავდება მრეწველობის ევოლუციისაგან და ამის-და მიხედვით უნდა შეცვლილ იქმნას პროგრამმა და ტაქტიკა მუშათა პარტიის მიწათ-მოქმედების შესახებ.

ამ გვარმა აზრის ცვლილებამ ზედგავლენა იქონია რუსეთზეც.

მაგრამ თვით რუსეთშიაც საკმარისი საბუთები იყო იმის დასამტკიცებლად, რომ მიწათ-მოქმედების უყურადღებოდ დატოვება მეტად მავნებელი იქნება მთელის სახალხო მეურნეობისათვის. გახშირებულმა მოუსავლობამ ცხადად დაამტკიცა, რომ რუსეთის მიწათ-მოქმედება ძალიან დაცემულია, და განფანტა ბურუსი, გამოწვეული მრეწველობის განვითარების ეფექტურ სურათის მიერ. სინამდვილემ მალე გამოაშკარავა, რომ რუსეთის მრეწველობა მჭიდროდ დაკავშირებულია სოფლელების ქონებრივ მდგომარეობასთან.

ვერავითარი დახმარება და ხელის შეწყობა ვერ მოსპობს და ვერ შეასუსტებს დიდის ხნით ბაზრის საჭიროებას მრეწველობისათვის. ბაზრის სივრცეზეა დამოკიდებული წარმოების სიმცირე თუ სიდიდე; რუსეთში მრეწველობის უმთავრესი ბაზარი სოფელია, რომელიც ხმარობს ფაბრიკის და ქარხნის ნაწარმოების უდიდესს ნაწილს. ამიტომ სოფლის ქონებრივი გალატაკება ნიადაგს უთხრის მრეწველობას.

ასეთის გარემოების ცუდი გავლენა მრეწველობისათვის შესაძლებელი იყო დროებით შესუსტებულიყო სხვა-და-სხვა ღონისძიების შემწეობით. გაძლიერებული გავლენა რკინის გზებისა, ხაზინის მიერ შეკვეთილი სამუშაონი, ბაჟები და სხ. და სხ. დიდხანს იწვევდა ჩვენში მრეწველობის გამოცოცხლებას, მაგრამ ასეთს ღონისძიებას განსაზღვრული ფარგალი აქვს და მისი მოქმედება დროებითია. ამიტომ ადრე თუ გვიან ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოვება და გასაღების პირველი ადგილი უნდა დაეჭირა და ყურადღება მიქცეული ჰქონოდა სოფლელების, ე. ი. მიწათ-მოქმედების მდგომარეობას.

როგორც ვიცით, მთავრობამაც უკვე მიაქცია ყურადღება დღევანდელს სოფლის გალატაკებას და განსაკუთრებული კომისია დაინიშნა საქმის ძირითადად გამოსაკვლევად და ღონისძიებათა შესამუშავებლად.

რუსეთი

ქ. მინსკში დაუარსებიათ უფასო საღამოს კურსები ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავე ქალთათვის; ყოველივე ხარჯი მიუღია თავისს თავზე ადგილობრივს ებრაელთა საქალებო საქველმოქმედო საზოგადოებას.

— მთავრობის მიერ აკრძალულ გაზეთ „როსიის" ხელის მომწერებს [illegible] გაზეთის მაგიერ მიიღებენ გაზეთს „ნოვოსტი"-ს.

— ქ. ტომსკში 3 მარტს მოხდა პირველი წლიური კრება „მბეჭდავთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა". წაკითხულ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ასეთის საზოგადოების სურვილი პირველად 1895 წელს დაიბადა ასოთ-ამწყობთა შორის, მაგრამ განხორციელდა მხოლოდ ექვსის წლის შემდეგ. „საზოგადოებას" წესდების ძალით შეუძლიან საჭირო ნებართვით დაიარსოს სხვა-და-სხვა დაწესებულებანი თავის წევრთა ქონებრივ და ზნეობრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რაკი ასეთი მუხლი ჰქონდა წესდებაში „საზოგადოებას", თავიდგანვე განიზრახა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამართვა. ბიბლიოთეკის დაარსება მით უფრო საჭირო იყო, რომ ასეთი დაწესებულება ტომსკში საღამოს 7—8 საათზე იკეტება, სწორედ მაშინ, როდესაც „საზოგადოების" წევრთა უმრავლესობა მუშაობას ათავებს. წარსულს სექტემბერში აღძრულ იქმნა შუამდგომლობა ბიბლიოთეკის შესახებ. მთავრობა შეეკითხა საზოგადოებას: სად იქნება განზრახული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ვინ იქნება მისი პასუხის მგებელი და იაფ-ფასიანი იქნება თუ არაო. საზოგადოებამ უპასუხა, რომ ბიბლიოთეკა დანიშნულია მხოლოდ საზოგადოების წევრთათვის. ნოემბერში საზოგადოებამ უარი მიიღო მთავრობისაგან, რადგან თქვენს წესდებაში არ არის აღნიშნული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის უფლებაო... საზოგადოების წევრთა უმრავლესობას შეადგენენ სტამბაში მომუშავენი, აგრეთვე გაზეთის თანამშრომლები, წიგნების ამკინძავები და სხ. ამ მოკლე დროში საზოგადოება სცდილობს საკუთარი სტამბა დაიარსოს, რომელიც ძლიერ გააღონიერებს საზოგადოებას ქონებრივად.

— აღძრულია შუამდგომლობა, რომ $50^{0}/_{0}$-ით გაიაფებულ იქმნას მასწავლებელთათვის რკინის გზის ბილეთების ფასი.

უცხოეთი

გერმანია. გერმანიის მთავრობა და მოხელენი არავითარ საშუალებას არა ზოგავენ პოლონელთა შესავიწროებლად. ეხლა პოლონელებს დევნა უმაღლეს სასწავლებლებშიაც დაუწყეს. შარლოტენბურგში არსებულ უმაღლეს სატეხნიკო სკოლის საბჭომ დაითხოვა ის პოლონელი სტუდენტები, რომელნიც პრუსიის ქვეშევრდომნი არ იყვნენ. ამის შემდეგ ბერლინის პოლიციამ უბრძანა 40 სტუდენტ-პოლონელს სამის დღის განმავლობაში პრუსიიდგან წასვლა. მიზეზად ის განაცხადა პოლიციამ, რომ სტუდენტები საიდუმლო საზოგადოებებში იღებენ მონაწილეობასაო. ასევე მოიქცნენ ჰანოვერშიაც, დაითხოვეს იქაურ უნივერსიტეტის სტუდენტები. პოლონური საზოგადოება ძალიან დააღონა ყველა ამან. ახლა ისინი ურჩევენ ახალგაზრდობას, ფრთხილად მოიქცნენ და მიზეზს ნუ მისცემენ მოხელეებს სასწავლებლიდგან დათხოვნისას. ამას წინად გამოსცეს პოზნანში მოწოდება ახალგაზრდობის მიმართ, რომელზედაც 115 პოლონელს უწერია ხელი, დეპუტატებს, მწერლებს და სხვებს. აი, შინაარსი ამ

ფელეტონი

გრაფი ტოტლებენი და მისი ადვოკატი ბ-ნი ლინდა

II*)

1768 წ., შემოდგომის მიწურულს, პეტერბურგს ამბავი მოვიდა, რომ ოსმალეთის სულთანმა რუსეთის ელჩი ობრეზკოვი შვიდ-კოშკიან ციხეში დააპატიმრაო. რაღა თქმა უნდა, ასეთი საქციელი სულთანისა ომის გამოცხადებად მიიღო დედოფალმა ეკატერინემ და ამ შეურაცხების გამო ომის სამზადისს შეუდგნენ. 4 ნოემბერს იმპერატრიცამ შეჰკრიბა არა ჩვეულებრივი საბჭო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა და გამოერკვია—როგორ უნდა ეომნათ ოსმალეთთან, რა ღონისძიება მიეღოთ მტრის დასამარცხებლად და, საზოგადოდ, მოესაზრებინათ მომავალის ომის ყოველი წვრილი. მესამე კრებაზე, 12 ნოემბერს, საბჭომ გადასწყვიტა, სხვათა შორის, აუწყონ ბერძნებს, სლავიანებს და ქართველებს, რომ რუსეთი იძულებულია ეომოს ოსმალეთს სარწმუნოებისა და სჯულის დასაცველად [3]. ადვილი მისახვედრია, რომ რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა, „უკეთუ ერთმორწმუნე ბერძნები, სლავიანთა ტომის ერნი: შავ-მთიულნი და სერბნი და აქ საქართველოში, ქართველნი, ოსმალეთს აეშლებოდნენ და ზურგიდგან მოსვენებას არ მისცემდნენ. მაშინ რუსეთის უმთავრესი ჯარი ყირიმსა და მდინარე დუნაის მიდამოებში უფრო გაბედვით და თამამად იმოქმედებდა და დიდადაც დააზიანებდა მტერსა.

ბერძნების ასაჯანყებლად მორეიაში მთელი საზღვაო ექსპედიციაც იყო გაწყობილი. ბალკანეთის ნახევარ-კუნძულს ამ დროს რუსის ემისარები მოედვნენ და სცდილობდნენ აეშალათ ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანები. მაშინდელმა რუსეთმა ნაკლებად იცოდა, როგორც ბალკანეთის ვითარება, აგრეთვე ჩვენის ქვეყნისა. საქართველოსი, მაგალითად, ისიც-კი არ იცოდნენ, რა მდებარეობა ჰქონდა დედა-ქალაქ ტფილისსა, ხმელეთის შუაგულ იყო გაშენებული, თუ კასპიისა, ან შავის ზღვის პირად იდო [4].

რუსის ცნობილი ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი გვარწმუნებს, რომ სოლომონი, მეფე იმერეთისა, განუწყვეტლივ ებრძოდა ოსმალებსა, 1755 წლიდგან დაწყებულიო, მამაცურად იგერებდა მტერსა და მხნეობით იცავდა თავისის ქვეყნის დამოუკიდებლობას, ვიდრე მტერი არ აეშალა საკუთარ სამფლობელოშიო. ჩვენის ისტორიისათვის ეს ახალი ხილი არ არის. შინაური შფოთი და ამბოხება გაბატონებული რომ არ ყოფილიყო, ქვეყანას რა უჭირდა? სოლომონსაც ბედმა ის ძიმწარე დაალევინა, რაც სავსებით სხვამ შესვა. ვინ გინდა, არ აეშალა ამ მხნე მეფესა? გარედგან ოსმალონი ახალციხის მხრიდგან და ფოთი-ბათუმიდგან, შინ კიდევ რაჭის გალაღებული როსტომ ერისთავი, სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი და სხვანი-და-სხვანი. ასეთ შევიწროებაში ჩავარდნილი სოლომონი იძულებული იყო რუსეთისთვის მიემართა და დახმარება ეთხოვნა. 1766 წ. გასულს სოლომონი ეხვეწებოდა ეკატირინეს: ან მფარველობა გამიწიე და ოსმალეთი მომაშორე თავიდგან, ან თუ ამას არ ინებებთ, ნება მომეცით რუსეთში გადმოსახლებისაო. ეკატირინემ არ მოისურვა სოლომონის გულისათვის კეთილი მეგობრობა დაერღვია ოსმალებთან და უარი შემოუთვალა. მაინც სოლომონმა 1768 წ. გაგზავნა პეტერბურგს ელჩად ქუთათელი მაქსიმე შემწეობის სათხოვნელად. ვიდრე პასუხი მოვიდოდა პეტერბურგიდგან, სოლომონმა შინაური მტერი, ტახტის მოცილე, ბატონიშვილი თეიმურაზი ხელში ჩაიგდო და დაატუსაღა. მიტროპოლიტ მაქსიმეს გაგზავნის დროს რუსეთში გარემოება შეიცვალა. რუსეთს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა და, მაშასადამე, იმპერატრიცა აღარ მოერიდებოდა ოსმალეთის წყენას და გადასწყვიტა სამხედრო დახმარება აღმოეჩინა სოლომონისათვის [5].

გრაფმა ნ. ი. პანინმა აუწყა სოლომონს, დედოფალი ჯარს მოგაშველებს და ეცადე მეფე ერეკლეც მიიმხრო და ერთად იმოქმედოთ ოსმალების წინააღმდეგაო. თვითონ სოლომონი ჩამოვიდა ტფილისს, ერეკლესთან პირისპირ მოსალაპარაკებლად. მეფენი შეთანხმდნენ, გადასწყვიტეს ომი ოსმალეთთან და პეტერბურგს ელჩები გაჰგზავნეს—მზადა ვართ ვებრძოლოთ ოსმალეთსაო *).

რუსთა მაშველ ჯარის უფროსად დანიშნეს გრაფ ტოტლებენი, რომელიც შემოვიდა საქართველოში 1769 წელს [6].

მაშველი რუსის მხედრობა [7], სულ 3767 კაცი, თითქმის სამი წელიწადი დარჩა საქართველოში. როდესაც გრაფი ტოტლებენი გამოსცვალეს და მხედართ-მთავრობა ჩამოართვეს, მის თანამდებობაზე გაამწესეს გენერალი ალექსი სუხოტინი. საქმე რიგიანად ვერც ამ გენერალმა წაიყვანა. ამის გამო მაშველ ჯარს ებრძანა, ლინიაზე დაბრუნებულიყო. სუხოტინმა ჯარი ქუთაისიდგან 1772 წ. 5 მაისს გამოიყვანა და აგვისტოს პირველ რიცხვებში უკვე მოზდოკს მივიდა.

ასეთია მოკლედ ტოტლებენის მხედრობის ლაშქრობის ამბავი საქართველოში. ყველასათვის ცხადია საგანი და აზრი ტოტლებენის ექსპედიციისა. რუსეთს აზრადაც არ მოსვლია ომი გაეჩაღებინა საქართველოს მიწა-წყალზე ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელიც იყო და მოუხერხებელიც. ომი ნამდვილად რომ სდომებოდათ საქართველოში, ჯარს ასე მცირეს არ გამოჰგზავნიდნენ. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ეკატირინეს ჰსურდა ოსმალეთისათვის ზურგს უკან მტერი გაეჩინა და ამისათვის საჭიროდ იცნეს გაევრცელებინათ ხმა, რომ რუსეთი იძულებულია „სარწმუნოების დასაცველად" იომოსო. ერთმორწმუნე ბერძნებს, სლავიანებს და ქართველებს პირდაპირ ეუბნებოდნენ—ახლა დრო გვაქვთ ოსმალეთის უღელი მოიშოროთო. ერთი სიტყვით, თქვენც გამოიყენეთ ეს შემთხვევა და ჩვენთვისაც ხელ-საყრელი იქნება თქვენი ხელის გამოღებაო. ემისარების გაგზავნას ბალკანეთში, საზღვაო ექსპედიციას ხმელთა-შუა ზღვაში და ტოტლებენის გამოლაშქრებას საქართველოში მარტოოდენ ის საგანი ჰქონდა, რომ რუსეთს ესარგებლა ერთ-მორწმუნე ხალხით ომის დროს. ბევრიც რომ ეცადოს ბ-ნი ლინდა და სხვა დანიშნულება მისცეს ტოტლებენის ექსპედიციას საქართველოში, აი, თუნდა ისა, რომ ტოტლებენის ექსპედიცია ქართველ მეფეთა თხოვნით იყო გამოგზავნილი და მხოლოდ ქართველების დახმარება ჰქონდა აზრადაო, ვერას გახდება, რადგან მისი მეცადინეობა ფუჭად ჩაივლის, როგორც ჭეშმარიტებისა და ისტორიის წინააღმდეგი.

პროფესორ ა. ცაგარლის მიერ დაბეჭდილ დოკუმენტებიდგან უფრო ცხადადა და გარკ-

---

*) იხ. „ივერია" № 60.

[3] რუსულად: „Россія принуждена вести войну съ турками за законъ".

იხ. „Исторія России съ древнѣйшихъ временъ", С. М. Соловьева, т. 28, стр. 561.

[4] იხ. ს. მ. სოლოვიევი, ტ. 28, გვ. 573. «Тефлисъ стоитъ на однихъ картахъ на Черномъ, а на другихъ на Каспійскомъ морѣ, а въ иныхъ и въ средѣ земли».

[5] ibid., გვ. 573.

*) იხ. Грамоты... стр. II—III.

«Грузинскіе цари и народъ восторженно приняли воззваніе Великой Императрицы, призывавшей ихъ на борьбу съ общимъ врагомъ христіанства—и выразили готовность немедленно послѣдовать призыву православной монархины, что они дѣйствительно и доказали самымъ дѣломъ, сражаясь противъ турокъ въ теченіи всей пятилѣтней турецкой войны».

[6] ibid. იხ. 573.

[7] რუსულად: «Помощныя войска».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოდებისა: „ამა წლის სექტემბერს სასამართლომ დასაჯა რამდენიმე პოლონელი გიმნაზიელი ისეთ საიდუმლო საზოგადოებაში მონაწილეობისათვის, რომელთაც აზ რად პოლონურის ენისა და ლიტერატურის შესწავლა აქვთ. აქედგან ის-კი არ უნდა გამოიყვანოთ, რომ პოლონელებმა არ უნდა შეისწავლონ სამშობლო ენა. პირ-იქით ტორნის სასამართლოს განაჩენში პირდაპირ არის გამოთქმული, რომ პოლონურ ენის შესწავლა აღკრძალული არ არისო. შეისწავლეთ ამიტომ პოლონური ენა და ლიტერატურა, მხნედ მოჰკიდეთ ამ საქმეს ხელი, მაგრამ საზოგადოებებსა და კავშირებს ნუ დააარსებთ. თქვენ პოლონელნი ხართ და ვალი გადევთ შეისწავლოთ ენა და ლიტერატურა. მეცნიერებისა და ენის შესწავლას ვერავინ აღგიკრძალავთ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეცადეთ თქვენის ყოფა-ქცევით არავითარი მიზეზი არ მისცეთ მთავრობას თქვენის დათხოვნისა და დასჯისა. ყოველივე ზემოდ ნათქვამი საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს შეხება.

„მივმართავთ ეხლა იმათ, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში იმყოფებიან. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ახალგაზრდობას უფლება არა აქვს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებს შეეხოს; პირ-იქით უნდა შეეხოს ამ საკითხებს და შეეხოს გატაცებით. ის ახალგაზრდობა, რომელმაც გატაცება არ იცის, ახალგაზრდობა არ არის. მაგრამ გატაცებამ არ უნდა დაგავიწყოთ სიფრთხილე და წინდახედულება. იმუშავეთ, იშრომეთ ყველა საქმეში, განვითარდით, მაგრამ ისეთ პოლიტიკურ აგიტაციასა და დემონსტრაციას ერიდეთ, რომელმაც შეიძლება ჩვენი საქმე წაახდინოს.

„ჩვენ მსხვერპლი-კი არა, მოღვაწენი და მშრომელნი გვინდა, საქმის მცოდნენი, ისეთნი, რომელნიც საქმით ემსახურებიან სამშობლოს და არა ცარიელ სიტყვით და ყვირილით.“

სამხრეთ-აფრიკის ომი. გაზეთებში დაბეჭდილია ერთის ინგლისელ აფიცრის წერილი ინგლისის ჯარის შესახებ. „არ მესმის,—სწერს აფიცერი,—რასა ჰფიქრობს ჩვენი მთავრობა! ყოველ დღე გვიგზავნიან საქონელს და ბიჭებს. პირველებს საომარ ცხენებს ეძახიან, მეორეებს—მეომრებს, ჯარის-კაცებს. არ დაიჯერებთ: ამას წინად 280 ცხენი გამოგზავნეს, აქედგან 72 ვაგონში მოკვდა, 47 ჩვენ თვითონ დავხოცეთ; დანარჩენებიც არაფრისათვის არ ვარგანან. ახლა „მეომარნი“ აიღეთ. შეგეცოდებათ, რომ შეხედოთ. შიმშილისაგან დასუსტებულნი, შინ უსაქმოდ დარჩენილნი, აქ გამოგზავნეს ბურების დასამარცხებლად. ამას წინად ჩამოვიდა სამხრეთ აფრიკაში 720 ბავშვი (სხვა არ ვიცით, რა ვუწოდოთ ამ ,,მეომრებს‘‘). ამათგან არც ერთი წინად ცხენზე არა მჯდარა, თუმცა ბევრი ცხენოსანთა რაზმში გაამწესეს. ზოგმა თოფის დაჭერაც არ იცის, არამც თუ სროლა. არავითარი აზრი არა აქვს ასეთ ,,მეომრების‘‘ სამხრეთ-აფრიკაში გამოგზავნას. ამათ გარდა, ჩვენს ჯარში შავ-კანიანნიც არიან. დღეს ჯარში 10,000 ბაზუტოსი მსახურობს ჯამაგირით. ბლოკჰაუზებშიაც იმდენი შავ-კანიანია, რამდენიც თეთრ-კანიანი. ბურებმა რომ ჩვენ მოგვბაძონ და შავ-კანიანნი მოგვისიონ, მაშინ ალაჰმა უწყის, რა მოხდება!‘‘

სხვაფრივაც დიდი გაჭირვება ადგია ინგლისის ჯარს: აუარებელი ჯარის-კაცი ხდებიან ავად. უკანასკნელ ერთს თვეში მომკვდარა 1,000, ავად გამხდარა 100,000 კაცი.

— როგორც რუსულ გაზეთებს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ, კიტჩენერს ბრძანება მიუღია, იმ დროსთვის, როდესაც ლორდი უოლსლეი ჩავა, ნიადაგი მოამზადოს სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. შალკ-ბურგერი და შტეინი ომის მოსასპობად თხოულობენ თურმე ავტონომიას, საყოველთაო ამნისტიას, წართმეულ ქონების დაბრუნებას და ფერმების აღდგენას. ლორდი უოლსლეი ეცდება ნახოს ბურთა წინამძღოლნი.

ბელგია. კვირას, დღისით, ბრიუსელში დიდი მანიფესტაცია გაიმართა საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოდ. მანიფესტაციაში მონაწილეობას იღებდა 300-ზედ მეტი ასოციაცია სოციალისტებისა, ლიბერალებისა და ქრისტიან დემოკრატებისა. იყვნენ ამათ გარდა დეპუტატებიც. დემონსტრანტებმა ქუჩაზედ გაიარეს დროშებით და ქალაქის საბჭოს წინ მოედანზედ გაჩერდნენ. დელეგატები მაშინვე მიიღო ქალაქის თავმა მოტმა, რომელსაც მათ პეტიცია გადასცეს პარლამენტში წარსადგენად. ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ დიდის სიამოვნებით ავასრულებ ამ თქვენს მონდობილობასაო.

ინგლისი. ფრანგულ გაზეთების სიტყვით, ირლანდიაში დღითი-დღე იზრდება ფრანგ-ირლანდიის მოძრაობა მისს მოდ ჰონნის თაოსნობით; ეს მოძრაობა ინგლისის ბატონობას დიდად საშიშ მდგომარეობას უქადის. ირლანდიის ცნობილმა პატრიოტმა ქალმა გამართა სკიბერნსა, ლიმერიკსა და კორკში ისეთი მანიფესტაციები, რომელთა შედარებაც მხოლოდ ერთ დროს ო‘კონნელისა და პარნელის სასარგებლოდ მომხდარ მანიფესტაციებთან შეიძლება. ირლანდიის, საფრანგეთისა და ტრანსვაალის ბაირაღები ისეთის ამბით ჩამოატარეს ქუჩებზედ, რომ ენა ვერ გამოსთქვამს. მღეროდნენ მარსელიეზას, ისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს ბურებს, გაუმარჯოს საფრანგეთს!“ ინგლისელებმა ვერ შესძლეს და ვერ ჩააჩუმეს მანიფესტანტები.

ოსმალეთი. ბოლგარული გაზეთი „ბოლგარია“ შემდეგს გადმოგვცემს ოსმალეთის საქმეების შესახებ: ადრიანოპოლის ოლქში კიდევ გამოჩნდა აჯანყებულთა რამდენიმე შეიარაღებული ბრბო. განვლილ თვის უკანასკნელ რიცხვებში აჯანყებულთა რაზმი, რომელსაც 45 კაცი შეადგენდა, აპა-ჩელების მიდამოებში ოსმალ თ შეეხჩა; შეტაკების დროს, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა, ოსმალელთ 12 ჯარის-კაცი მოუკლეს. მოწინააღმდეგეთ-კი—არც ერთი. გამარჯვების შემდეგ აჯანყებულთა რაზმი არხეინად გაუდგა თავისს გზას. მათი გზა და კვალი დღესაც ვერ გაუგია ოსმალეთის ჯარს. რა თქმა უნდა, რომ ოსმალნი თავისებურად იყრიან ჯავრს ბოლგართა სოფლების დანგრევა-დარბევით და მაგდენად არ დაგიდევენ აჯანყებულთა რაზმის შეპყრობას...

— რამდენისამე დღის წინად ადრიანოპოლში კონსტანტინეპოლიდგან ფიცხელი მოწერილობა მოვიდა, რომ ადგილობრივ მეციხოვნეთა 14 ოფიცერი შეიპყრან და მათი სადგომები გასჩხრიკონ. ორს ოფიცერს (პოლკოვნიკსა და კაპიტანს) უნახეს წერილები, საიდგანაც მეტად ცხადად სჩანს მათი კავშირი ახალგაზრდა ოსმალებთან.

ადრიანოპოლის ვალიმ ოფიციალური მოწერილობა მიიღო, რომ მაკედონელნი აჯანყებას ემზადებიან მაკედონიასა და ადრიანოპოლის ოლქში. ნაბრძანები აქვს სასტიკი ზომები მიიღოს ამ მზადების გასაქარწყლებლად. ამ გვარი ბრძანება მაკედონიის სხვა ვალიებმაც მიიღეს.

წვრილი ამბები

პარიჟი განთქმულია თავისის თეატრებით, მაგრამ, უთვალავ თეატრებს გარდა, იქ მრავლად არსებობს ეგრედ წოდებული „კაფე-კონცერტები“, სადაც ადგენენ პატარ-პატარა პიესებს, უმთავრესად ვოდევილებს, კითხულობენ ლექსებს, ჰმართავენ ბალეტებს, მღერიან და სხვა. ასეთ კაფე-კანცერტებს თითქმის უფრო მეტი ხალხი ეტანება, ვიდრე თეატრებს. ზოგიერთი კაფე-კონცერტი სამაგალითოდაა მორთული. შეიძლება ამისი მიზეზი ისიც იყოს, რომ ამ კაფე-კანცერტების სცენაზედ მეტი თავისუფლებაა, თვით დამსწრენიც უფრო თავისუფლად იქცევიან. ასეთ კონცერტის დარბაზში რომ შეიხედოთ, პირველ ხანს ქალების შლიაპებისა და კაცების ცილინდრების მეტს ვერაფერს დაინახავთ. შლიაპებსა და ცილინდრებს პარიჟში ასეთ წარმოდგენების დროს არ იხდიან. ბევრჯელ ოპერაშიაც, ფოიეში მოსიარულეთა შორისაც შეხვდებით ცილინდროსნებს.

ზემოხსენებულ კაფე-კონცერტებში უმთავრესს ყურადღებას დღიურ მიმოხილვას აქცევენ: არტისტები ლექსებისა, ცეკვა-თამაშისა და სიმღერის წყალობით ეხებიან დღიურ საჭირ-ბოროტო საქმეებს. რასაკვირველია, ყველაფერს დასცინიან, კარიკატურულ სახეს აძლევენ. საცეკვაო მიმოხილვებში ყველა როლებს ქალები ასრულებენ. ხშირად მოთამაშე ქალების ტანისამოსი ერთად-ერთ ტრიკოსაგან შესდგება. ზოგიერთ კაფე-კონცერტში უცნაურ „პიესებს“ ადგენენ. აი, მაგალითად, ერთის „პიესის“ შინაარსი. ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ვითომ სტუმრობიდგან დაბრუნებული, თავისს საწოლ ოთახში შედის, იხდის თეატრში მყოფ საზოგადოების წინ ტანისამოსს და ლოგინში წვება. ეს არის და ეს. საქმე ტანისამოსის გახდის დროს კოპწიაობასა და მომხიბვლელ მიხვრა-მოხვრაშია. ასეთის „პიესების“ წარმოდგენა მარტო პარიჟში შეიძლება, სადაც ქალს დაბადებითვე თან დაჰყვება ხოლმე გრაცია და სიკეკლუცე. პარიჟელი ქალები ასეთ საქმეში დახელოვნებულნი არიან. „იმათ ტანისამოსის ჩაცმაც კარგად იციან და გახდაცაო“, სწერს ერთი კორესპონდენტი. ზოგს კაფე-კონცერტში სცენაზედ გამოჰყავთ ორმოცი-სამოცი ქალი, ყველანი ტრიკოში გამოწყობილნი. მხედველობაში იქონიეთ, რომ ასეთ არტისტთა შორის ულამაზოსა და უშნოს თითქმის ვერ შეხვდებით.

სიმღერებსაც დიდი გასავალი აქვთ კაფე-კონცერტებში. ერთს კონცერტში ყოველ საღამოს მღერიან ერთ ლექსს, რომელსაც სახელად ჰქვიან: „რად გავხდი რესპუბლიკელი?“—„იმადაო, ნათქვამია ლექსში, რომ რევოლუციის წყალობით ბასტილია მიწასთან გასწორდა და ამის ადგილას გამართულ იქმნა მოედანი, სადაც ორჯელ ლაზათიანად მივტყიპე ჩემი სიძედრი. შემდეგ, რესპუბლიკის წყალობითვე ყველგან თავისუფლებაა: სრული უფლება მაქვს რესტორანში, რა ღვინოც მანდა, ის დავლიო—თეთრი თუ წითელი, კაფეში ვილაპარაკო ის, რაც თავში მომივა, თუმცა ასეთის უფლების წყალობით არავინ აღარავის ყურს არ უგდებს. დასასრულ, იმპერიის დროს რამდენიც „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ დავიძახე, იმდენი პოლიციაში ამომაყოფინეს თავი, ეხლა-კი, რასაც მინდა, იმას დავიძახებ და დავიყვირებ—გაუმარჯოს რესპუბლიკას, მეფეს, იმპერატორს, არ შემიძლიან მხოლოდ ერთი რამ დავიძახო: ,,გაუმარჯოს პოლიციის პრეფექტს‘‘. ერთხელ ვცადე ამისი თქმა, მაგრამ ბრბომ კინაღამ გამგლიჯა.‘‘ პოლიციას მაინც ყველაზედ მეტი ჰხვდება ამ კაფე-კონცერტში.

ყველას და ყველაფერს დასცინიან კაფე-კონცერტებში. გამოვიდა თუ არა ბრძანება სასულიერო კონგრეგაციების განდევნის შესახებ, კაფე-კონცერტში მაშინვე დაიწყეს ისეთის პიესების წარმოდგენა, სადაც ამ საგანზედ იყო ლაპარაკი: სცენაზედ შეჰხვდებოდით ბერებს, თოფებსა და ხმალ-ხანჯალში გამოწყობილებს.—ამ ბერებს სამხედრო წეს-რიგს ასწავლიდნენ. მინისტრები, პარლამენტის წევრნი, პოლიცია—აი, უმთავრესად ისინი, ვისაც სასაცილოდ იგდებენ კაფე-კონცერტებში.

⁂

ამას წინად ავსტრიაში საყოველთაო აღწერა მოხდა. მთავრობამ ეხლა გამოაქვეყნა ცნობები ამ აღწერის დროს შეკრებილი. როგორც სჩანს, ავსტრიაში (უუნგრეთოდ) 26.151,000 სული მცხოვრები ყოფილა. აქედგან

გერმანელი	9,168,000
ჩეხი.	5,960,000
პოლონელი.	4,261,000
რუსინი	3,343,000
სლოვენი.	1,193,000
კროატი.	711,000
იტალიელი	727,000
რუმინი.	231,000
ებრაელი.	1,225,000

⁂

ნიუ-იორკში ამას წინად დაუპატიმრებიათ ვიღაც ფარრელი, რომელიც ერთ სასტუმროში მსახურობდა. ეს ფარრელი გამოტეხილა, რომ ორის წლის განმავლობაში ოცჯერ წავუკიდე ცეცხლი სხვა-და-სხვა სახლსაო. სხვა არაფერი განზრახვა არა ჰქონია თურმე ამ ფარრელის ამის მეტი, რომ თავგამოდებით ცდილობდა ხოლმე ცეცხლ-წაკიდებულ სახლში მყოფთა გადარჩენას. ფარრელის ამისათვის საჩუქრებიც-კი მიუღია. რამდენჯერმე დაშავდა კიდეც. ფარრელი ეხლა 24 წლის კაცია. იგი სულით ავადმყოფია სამკურნალოში მოუთავსებიათ.

⁂

11 მარტს სწორედ ორასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ინგლისში პირველი ყოველდღიური გაზეთი გამოვიდა. სახელად ამ გაზეთს ,,Daily Courant‘‘-ი ერქვა. იბეჭდებოდა იგი ქაღალდის ერთ გვერდზედ; განცხადებანი პირველ ხანს არ იბეჭდებოდა. მაგრამ მალე შემოიღეს. ევროპაში უკვე ბევრი გაზეთი გამოდიოდა ამ დროს და პირველი ინგლისური გაზეთი თავისს მასალას უმთავრესად ამ გაზეთებიდგან იღებდა.

სასოფლო მეურნეობა.

მეფუტკრეობის სარგებლობა.

მეფუტკრეობა ერთი იმ სამეურნეო დარგთაგანია, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენში წინმსვლელობის გზას თვალსაჩინოდ ჩამოჰრჩენია. ამას, სხვათა შორის, ჰმოწმობს შარშანდელი კავკასიის საიუბილეო გამოფენა, სადაც მონაწილეობას იღებდა სულ 45 მეფუტკრე და მათ რიცხვში, ვგონებ, არ შევცდები,—მხოლოდ [illegible]ლი. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც იმას არ ამტკიცებს, ვითომ მთელს საქართველოში მარტო ექვსი-შვიდი ქართველი მისდევდეს ფუტკრის მოვლა-მოშენებას,—კარ-გოდრებიან საფუტკრეებს თითქმის ყოველ სოფელში შეჰხვდებით, მხოლოდ ეს-კი ცხადია, რომ გაუმჯობესებულის, ჩარჩოიან წესის მიმდევარნი მეფუტკრენი ძრიელ ცოტანი გვყავანან, თითებზედ ჩამოსათვლელნი, და ამის გამოც თვითონ მეფუტკრეობა პროგრესიულს ზრდას მოკლებულია. ბევრს ქვეყნებში, სადა ჩვენებური ბუნების ხელშემწყობ გარემოებებს მოკლებულნი არიან, დღეს მეფუტკრეობა სასურველ წარმატებამდე არის მიღწეული და აღიარებულია იგი მეურნეობის ერთ საუკეთესო შემოსავლიან დარგად: პატრონ-მეფუტკრეს აძლევს საჭირო ცხოვრების სალსარს და საზოგადოებასაც აწვდის ყოვლად შემრგო და სენთა მკურნებელს საზრდო-თაფლს.

მეფუტკრეობა ერთნაირად ხელ-მისაწვდენია როგორც მდიდრისათვის, ისე ღარიბთათვის. მისთვის, როგორც მევენახეობა-მეღვინეობისა, ბაღოსნობისა და სხვა სამეურნეო დარგთათვის, მომეტებული თანხა და ხარჯი არ არის საჭირო. პირველ ხანებში საკმარისია მხოლოდ სამიოდე სკა, პატარა ადგილი საფუტკრეს მოსათავსებლად და თვითონ საგნის რიგიანად შესწავლა, რომ სულ უღარიბესმა კაცმა საკმარისი (და მომეტებულიც) შეძლება შეიძინოს, თვისი ცხოვრება ნივთიერად უზრუნველ-ჰყოს. მდიდარ მეზობლის მინდორ-ბაღები უხვად აძლევს უმამულო მეფუტკრეს სუნნელოვანს თაფლს და სამაგიეროდ კიდევ მისი ფუტკრები ხელს უწყობენ მდიდრის ბაღებს განაყოფიერების საქმეში [1]).

გარდაწყვეტით არ შეიძლება ითქვას, თუ თვითეულს რაციონალურად ნაწარმოებ სკას რამდენი თაფლი შეუძლიან მოუტანოს პატრონს;—ეს დამოკიდებულია ამინდზედ, წელიწადზედ და თვითონ ადგილზედ, სადაც საფუტკრე იმყოფება. საზოგადოდ-კი თაფლის რაოდენობა გამოიხატება სკაზედ ერთი ფუთიდგან სამ ფუთამდე—ორთა შუა რიცხვით—$1^1/_2$ ფუთი, რაიცა, ფულად რომ ვქციოთ, 14 მანეთს შეადგენს. აქედამ ცხადია რამდენად სარგებლიანია მეფუტკრეობა და რად აყენებენ ამ მრეწველობას წარჩინებულნი მეფუტკრენი ბევრს სამეურნეო დარგებზედ მაღლა.

მაგრამ ეს არა კმარა. მეფუტკრეობა ანიჭებს კაცს არა მარტო ნივთიერ კეთილ-დღეობას, არამედ ჯანმრთელობასაც, სენთა კურნებას და გონების სიფხიზლესაც. ჩვენ ხელთა გვაქვს შესანიშნავი წერილი ი. ლიუბარსკისა, რომელიც, უჩივის-რა თაფლის შევიწროებასა და განდევნას, როგორც მედიცინის, ისე შინაურ ხმარებიდგან შაქრის გაფართოებულ წარმოების წყალობით, ცხოვლად გვიხატავს თაფლის სამკურნალო თვისებას.

ა. ჯ.

---

[1]) ნაყოფის გამონასკვა ყოვლად შეუძლებელია, თუ იგი ყვავილშივე არ განაყოფიერდა. ვგონებ, ყველას ექმნება შენიშნული შუა ყვავილში ამოსული ისარმაგვარი ღერო, რომელსაც ბაღოსნობაში ეწოდება ბუტკო, ანუ დედა-ღერო (пестикъ). ამას გარშემო ახვევია მრავალი ისარმაგვარივე ღეროები—მამათ ღეროები (тычинки), რომლებიც ბოლოვდებიან პატარა პარკუჭებით (მტვრიანა). ეს პარკუჭები დამწიფების უმალ სკდებიან და იძლევიან გამანაყოფიერებელს მტვერს, რომელიც ქარის, ან სხვა ძალით გადადის ბუტკოს პირში (рыльцо) და ამ ნაირად ანაყოფიერებს ყვავილს. საუკეთესო გადამტანელად ამ მტვრისა ბუტკოზედ ითვლებიან ფუტკრები, რომლებიც თვითოეულს ყვავილს თითქმის ყოველ დღე ინახულებენ ხოლმე.

ვევით სჩანს, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ტოტლებენის ლაშქარს. იქიდგან ვიგებთ, რომ ექსპედიციას უნდა მოეხდინა საქართველოდგან ოსმალეთის წინააღმდეგ შესამჩნევი და ძალუმი დივერსია. რუსის ჯარი, გამხნევებისა და წაქეზების გარდა, ნამდვილად უნდა მოჰხმარებოდა ქართველებს. უმთავრესად-კი ქართველები თვითონ უნდა გარჯილიყვნენ, თავისის საკუთარის ძალ-ღონით მოეხდინათ დივერსია [8]).

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან რუსის ჯარი ისე მცირე იყო, რომ უქართველებოდ ვერას გახდებოდა, მაგრამ ჯარის აქ ყოფნა იმასაც არა ჰნიშნავდა, რომ ჯარს ხელი არ გაენძრია და ქართველები გაჭირვების დროს ღვთის ანაბარად დაეტოვებინა, როგორც ტოტლებენი მოიქცა აწყურსა და ასპინძასთან.

ქართველნი ისტორიკოსნი ყრუდ და მოკლედ, უფრო-კი გაკვრით, შემთხვევით, იგონებენ ტოტლებენის ლაშქრობას საქართველოში. ეს შესანიშნავი ეპიზოდი ჩვენის ისტორიისა, ანუ რუს-ქართველთა ურთიერთობისა წარსულში, ჯერ კიდევ ელის თავისს საკუთარს ისტორიკოსსა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ტოტლებენს ახსენებენ მხოლოდ პ. იოსელიანი, ი. გოგებაშვილი და ალ. გარსევანიშვილი. სხვას ქართულად ნაწერს თხზულებაში არავის მოუხსენებია [9]).

ქართველთაგანს რუსულად მოხსენებული აქვს ტოტლებენის ლაშქრობა ა. ხახანაშვილს, მიხეილ ხელთუფლიშვილს და ზ. ავალიშვილს. პირველი მცირედად იგონებს ტოტლებენის ლაშქრობას და მხოლოდ ამ სიტყვებს ამბობს: „ერთგულობით და სიმართლით სამსახური ეკატერინესი ირაკლის ძვირად დაუჯდა, რადგან რუსის მხედრობის სარდალმა, გრაფმა ტოტლებენმა, გაჭირვების დროს, ასპინძის ომის დაწყებამდე, მარტოდ-მარტო დასტოვა ირაკლიო“. [10]) ყველაზე მკაცრად და სასტიკად ახსენეს ტოტლებენი ზ. ავალიშვილმა და მ. ხელთუფლიშვილმა თავიანთ ფრიად საყურადღებო წიგნებში „Присоединеніе Грузіи къ Россіи“ და „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской Имперіи“ [11])

გახლავთ კიდევ ერთი ქართველი, სახელდობრ ი. ს. ღულაძე, რომელსაც რუსულად აქვს დაწერილი ვრცელი რეფერატი, მაგრამ ჯერ არ დაბეჭდილი, სადაც ავტორი ვრცლად მოგვითხრობს ტოტლებენის ლაშქრობის ამბავს. არც ავალიშვილის თხზულება და, რასაკვირველია, არც დაუბეჭდელი რეფერატი ღულაძისა ლინდას არ წაუკითხავს. ქართველ ისტორიკოსთა ნაწერებსაც ქართულის უცოდინარობის გამო ბ-ნი ლინდა ვერ წაიკითხავდა.

მაშ, ვის იგულისხმებს ბ-ნი ლინდა, როდესაც ბრძანებს, რომ ქართველნი ისტორიკოსნი ცუდის თვალით უყურებენ ტოტლებენსაო? ცხადია, მარტო ალ. ხახანაშვილს, რადგან პროფესორ ცაგარელს ვერ გაუბედავს მიკერძვით მსჯელობა შესწამოს. პროფესორმა მხოლოდ დოკუმენტები გამოჰკრიფა არქივებიდგან, მშვენიერად აბეჭდა, წესსა და რიგში მოიყვანა მშვენიერივე, დოკუმენტებზე დაფუძნებული, წინასიტყვაობა წაუმძღვარა. ეს იყო და ეს.

პრ. ცაგარელმა აღნიშნა მხოლოდ უაღრესი მნიშვნელობა ამ დოკუმენტებისა ისტორიისათვის.

მაშ, რას გვედავება ბ-ნი ლინდა და რად უტეხავს ქართველ ისტორიკოსებს სახელს რუსის მკითხველის თვალში და მიკერძვით მსჯელობას რადა სწამებს? რა საბუთით ამბობს წერილისავე დასაწყისში: „შორიდგან რომ შევხედოთ, გარეგნობით, დიდად სამწუხაროა, რასაკვირველია, ის გარემოება, რომ 1770 წ. აპრილში რუსის ჯარი განშორდა ქართველებს გაჭირვების დროს, სწორედ, ასპინძასთან ბრძოლის წინ, მაგრამ დაბეჭდილ დოკუმენტების მიხედვით (პროფ. ცაგარლის მიერ) ამ გარემოებას სულ სხვა ნათელი ეფინებაო. ამასთანავე თვით გენერალი ტოტლებენიც ისეთ პირ-შავად და პირ-ქუშად არ იხატება, როგორც ასურათებენ ქართველნი ისტორიკოსნიო“ [12]).

ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ცაგარლის ქართველობა აქ მოსატანი არ არის. ვინც უნდა ყოფილიყო დოკუმენტების დამბეჭდავი მეცნიერი, გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, თუ პოლონელი, დოკუმენტებს ისე დაჰბეჭდავდა, როგორც დაწერილია და რა სახითაც ინახება არქივებში. „პოდლოგებს“ ხომ ვერ მიჰმართავდნენ?!

აშკარაა, რომ ბ-ნ ლინდას მხოლოდ ა. ხახანაშვილი ამოუღია მიზანში, მხოლოდ მისი წერილი წაუკითხავს და ვერ მოუნელებია, უკადრისობს და თაკილობს—როგორ თუ ქართველმა გაჰბედა და უკმეხად მოიხსენია თუნდ ისეთი პირქუში კაცი, როგორიც იყო გრაფი ტოტლებენიო. საყურადღებო აქ კიდევ ისაა, რომ ბ-ნს ხახანაშვილს კომენტარიები არ დაურთავს, თუ რა მიზეზით დასტოვა ღვთის ანაბარად ტოტლებენმა ირაკლი, არავის არც ამტყუნებს, არც ამართლებს, მარტო ფაქტი აღნიშნა გაკვრით.

ბ-ნი ლინდა-კი ჯავრობს, სწყინს, ფაქტი რად აღნიშნაო და საგნად თავისის წერილებისა ისიც გაიხადა, რომ დაამტკიცოს, ტოტლებენი უსათუოდ უნდა წასულიყო აწყურიდგან, ლეკ-ოსმალოს არ უნდა შეჰბმოდა ქართველებთან ერთადაო. ავტორი ცოცხალ, ლაზათიან ტყუილსაც არ მოერიდა. ერთად-ერთი ხახანაშვილი ორ-სამ თავიანად აქცია და მხოლოობითი რიცხვი მრავლობითად იხმარა, რომ უფრო მეტი ფასი მისცეს თავისს ნალაპარაკევს, თორემ რა საკადრისია მწერალმა სთქვას: „грузинскіе историки“, როცა საქმე მარტო ერთ.თანა აქვს?!.

ა. ფრონელი.

(შემდეგი იქნება)

---

[8]) იხ. ა. ცაგარელი. Грамоты.. т. I, გვ. VIII, IX, 53, 80, 87. რუსულად: «Учинить, со стороны Грузіи, важную диверсію»; „Русскія регулярныя войска должны были служить Грузинскимъ войскамъ, не только въ примѣръ или поощреніе, но и въ дѣйствительное подкрѣпленіе“.

[9]) იხ. პ. იოსელიანი, «ცხოვრება მეფე გიორგი XIII», გვ. 11; ალ. გარსევანიშვილი, „მეფე ერეკლე II, როგორც სარდალი“, „ცდა“, გვ. 7—8; ი. გოგებაშვილი, „მეფე ერეკლე მეორე“, ბუნების-კარი, გვ. 490. რ. ერისთავის პოემა „ასპინძის ომი“ სათვალავში არა გვაქვს, აგრედვე ილია ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, «ქართლის ცხოვრებაც» ძუნწობს ტოტლებენის შესახებ. იხ. «ქ. ცხოვრება», გვ. 492—493, ნაწილი მეორე, გამოცემა დ. ჩუბინაშვილისა.

[10]) იხ. ა. ხახანაშვილის წერილი ,,Столѣтняя годовщина присоединенія Грузіи къ Россіи‘‘ 1801--1901 г.г.. გვ. 349. „В. Европы“ 1901 г. № 1. ,,Ираклій былъ оставленъ гр. Тотлебеномъ, начальникомъ русскаго вспомогательнаго войска изъ 3,767 человѣкъ въ самую критическую минуту предъ Аспиндзской битвой (1770‘‘ г.)

[11]) იხ. პირველი წიგნის გვ. 100—106 და მეორისა, გვ. 11. ხელთუფლიშვილის სიტყვები: ,,служеніе (Императрицѣ) съ ревностью и вѣрностью дорого обошлось Ираклію, брошенному начальникомъ русскихъ войскъ гр. Тотлебеномъ въ самую критическую минуту предъ Аспиндзской битвой.‘‘ ხელთუფლიშვილის წიგნს ლინდა არ იხსენიებს.

[12]) იხ. Походъ... „В. Сб.“ № 9, стр. 11. ,,... грузинскіе историки указываютъ на одинъ фактъ—по внѣшности весьма печальный, а именно на отдѣленіе рус. войскъ отъ грузинскихъ... и личность рус. генерала Тотлебена не представляется такой мрачной, какъ рисуютъ ее груз. историки.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველს დროში ი. ლიუბარსკის სიტყვით, თაფლი ითვლებოდა არამც თუ მეტად მარგებელ და მასაზრდოებელ ნაყოფად, არამედ აწერდნენ კაცის სიცოცხლის განგრძობის თვისებას. ბერძნებს სწამდათ, რომ მათის ღმერთების უკვდავების მიზეზი იყო მათი ჩვეულებრივი საჭმელი ამბროზია, რომელიც შესდგებოდა თაფლისა და რძისაგან. ახლად-შობილი იუპიტერი, რომელიც თავისს სასტიკს და მოშურნე მამას ემალებოდა კრიტის კუნძულზედ, გამოკვებულ იქმნა თაფლითა და რძით,—და ამ საზრდომ იმდენად გააჯანსაღა და გაამაგრა, რომ შემდეგ თავისი მამა განდევნა და მისი ადგილი დაიჭირა. ბერძნების აზრით, თაფლი ანიჭებდა კაცს არამც თუ უკვდავებას, არამედ ნეტარებასაც. ამისათვის თავიანთ ღმერთების სასიამოვნო მსხვერპლად ჰრაცხდნენ თაფლს, სისხლთან შერეულს. საზოგადოდ საღმრთო დღესასწაულებში და განსაკუთრებით-კი მიცვალებულთა დაკრძალვის დროს თაფლს უპირველესი ადგილი ეჭირა. პირველ ქრისტიანობაშიაც თაფლს რაღაც საიდუმლო თვისებას აწერდნენ, რის გამოც ახალ-მონათლულს ჰსაჩუქრავდნენ თაფლითა და რძით, ნიშნად სულიერის სიყვაჩვისა და განახლებისა.

რამდენად მაღლა აყენებდნენ თაფლს ძველის აღთქმის მოღვაწენი, ეს იქიდამა სჩანს, რომ იოანე ნათლის-მცემელი და, როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, წინასწარმეტყველი ილია და ელისეც თაფლით იკვებებოდნენ.

ღირსეულად აფასებენ თაფლს თვით ძველი მწერლებიც. პითაგორი ამტკიცებდა, რომ მან მხოლოდ თაფლის წყალობით მიაღწია მხცოვან სიბერეს,—90 წლამდე: თუ არ თაფლი, იგი 50-ის წლის უნდა გამოჰსალმებოდა სიცოცხლეს, როცა ავადმყოფობამ დაიგდო. დემოკრიტემ იგრძნო სიკვდილის სიახლოვე, როდესაც ღედა-ღმერთის ცერერას დღეობა მოტანებული იყო, და, რომ მომავალ დღესასწაულებში თავისის სიკვდილით ხელი არ შეეშალა თავისს საყვარელ ქალებისთვის, განაგრძო სიცოცხლე იმით, რომ დრო-გამოშვებით სჭამდა თაფლსა და მის მშვენიერს სუნს ხშირად სუნთქავდა. არისტოტელიც, რომელიც თავისს თხზულებებში ხშირად იხსენიებს ფუტკრებს, თაფლს სიცოცხლის განმაგრძელებელ თვისებებს აწერდა.

მეფუტკრე მღვ ალ. ჯალიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

მოწოდება

(წერილი ალაგირიდგან)

დიდი ხანია, რაც სამშობლოში მიწის სიძვირემ და მოუსავლობამ აიძულა რაჭის მცხოვრებლები მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო ქვეყანა და გადმოსახლებულიყვნენ თერგის ოლქში უკეთესის ბედის საძებნელად. უმეტესობა მათგანი დაბინავდა სოფ. ალაგირში, რომლის მკვიდრი მცხოვრებნი არიან რუსები და ოსები. დღეს აქ ას კომლზედ მეტი ქართველი სახლობს სხვის მიწაზედ, იღებს იჯარით სახნავ-სათესს ადგილს, ხე-ტყეს და ამით იმსუბუქებს ყოველ-დღიურს მოთხოვნილებას. ყველასათვის ცხადია, თუ რა ცუდი ბედი მოელის უცხო მხარეში გადახვეწილთ, თუ მათი ცხოვრება თავისს დროზედვე არ მოეწყო სასურველად. ალაგირელი ქართველები სწორედ ნამდვილ გადაგვარების გზას ადგნენ, მაგრამ ბედმა გაუღიმა მათ და გაეხსნათ ქართული სამრევლო სკოლა, რომელსაც ინახავს კავკასიის საეპარქიო საბჭო და იქაური ქართველობა. სკოლა დღეს მოთავსებულია ნაქირავებს სახლში. დღეს ალაგირელმა ქართველებმა მოინდომეს მიწის ყიდვა სკოლის შენობის და საკუთარ ეკკლესიის ასაშენებლად, რომ მიეცეთ შეძლება თავიანთ სამშობლო ენაზედ წირვა-ლოცვა და სხვა ღვთის მსახურებაც მოისმინონ, რასაც დღემდის სრულიად მოკლებულნი არიან.

ამ საშვილი-შვილო საქმის განსახორციელებლად აქაურმა ქართველებმა აირჩიეს კომიტეტი, რომელსაც დაევალა ზრუნვა ამ საქმისათვის და გაიწერეს კიდეც თავიანთ შორის 2000 მანეთამდე, მაგრამ, რადგანაც მიწა აქეთ ძვირობს, მაგალითად, ერთი ოთხ-კუთხი საჟენი ისყიდება არა ნაკლებ ექვსი მანეთისა, და მასთან ამ საქმის შესასრულებლად აღნიშნული ფული მეტად მცირეა, ამიტომ მივმართავთ უმორჩილესის თხოვნით ყველა გულშემატკივართა ვინც თანაუგრძნობს უცხო მხარეში მყოფ ღარიბ ქართველობას, ნუ დაზოგავენ თავიანთ მცირეოდენს წვლილს ამ კეთილის საქმისათვის; ამასთანავე ვთხოვთ შეგვიგროვონ ნაცნობთ შორისაც მცირე შეწირულებანი და მოგვაწოდონ შემდეგის ადრესით:

Алагиръ, въ Грузинскую школу. Учителю
Павлу Ломтатидзе.

კომიტეტის წევრნი
დავით მეტრეველი.
ალექსი ლობჟანიძე.
ზურაბ ჩიკვილაძე.

თავმჯდომარე კომიტეტისა მასწავლებელი პავლე ლომთათიძე.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ ,,ივერიის'' გუშინდელ ნომრის ახალ ამბებში დაბეჭდილი გახლდათ შემდეგი: «გუშინ-წინ, 17 მარტს, დანიშნული იყო სამარხ კასის კრება. ინიციატორი არსადა სჩანდა. კრებაზედ მოვიდა სამი დამფუძნებელი, 10 ახალი წევრი და 30 წევრად ჩაწერის მსურველიო. კრება მაინც არ შესდგა და გადაიდვა მარტის 24-სათვის» და სხვა-და-სხვა. წარმომადგენელი ანუ ინიციატორი გახლავართ მე. მაშასადამე, ყველაზედ უწინ მე უნდა მცოდნოდა, თუ «სამარხ კასის„ კრება იყო დანიშნული, მაგრამ ამ გვარი არა ყოფილა-რა. მართალია, წარსულ კრებაზედ იყო ლაპარაკი: კრება 17 ან 24 მარტს დავნიშნოთო, მაგრამ ეს კიდევ არ ჰნიშნავს იმას, რომ კრება ვისმეს დაენიშნოს. კრების დანიშვნა ყოველთვის ცალკე განცხადებათ იქმნება დაბეჭდილი გაზეთში, თორემ ერთმა რომ სთქვას, მეორემ გაიგონოს, ან რომელმამე გაზეთმა რომ თავისს ნომრის შესავსებათ ახალ ამბებში დაჰბეჭდოს «დღეს ესა და ეს კრებააო», აქ ინიციატორი რა შუაშია, ან მოთავე და ან დამფუძნებელნი წევრნი, ამასთანავე ვაუწყებ ყველა წევრს და წევრობის მსურველთაც, რომ 24 მარტსაც არავითარი კრება არ არის დანიშნული და არც შესდგება, ვინაიდგან ქართულად ნათარგმნი წესდება დასაბეჭდია ჯერ, ბეჭედი გასაკეთებელი, საწარმოებელ დავთრების ფირმები მოსამზადებელი და სხვა მრავალი. ყველა ეს ისე სწრაფად და დეზად არ კეთდება, როგორაც ეს შეიძლება ეგონოთ მათ, რომელთაც წარმოებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და არც იღებენ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩვენ ჯერ ახალი წევრი არც ერთი არა გვყავს, გარდა დამფუძნებლებისა; ყოველმა ახალმა წევრმა უნდა წარმოუდგინოს დამფუძნებელ წევრებისაგან ამორჩეულ გამგეობას თავის წლოვანობის საბუთები და, თუ საჭირო იქმნა, ექიმის მოწმობაც თავისის ჯანმრთელობისა (იხილე წესდების მე-3 მუხლი)...

წარმომადგენელი სამარხ კასისა
სოსიკო მერკვილაძე.

„ივერიის“ ფოსტა:

ბერ-მინდიას: თქვენი წერილი „ქალთა კითხვის გამო“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 მარტი.

პეტერბურგი. აპრილის დამდეგს ბალკანეთის სახელმწიფოებში გაემგზავრება სამთო ინჟენერების კომისია იქაურის ბაზრების შესასწავლად და იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად შესაძლებელია იქ ქვა-ნახშირის და თუჯის გაზიდვა.

ხარკოვი. გაზეთს „ხარკ. გუბ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ცნობა ბოგოდუხოვიდგან: „3-ს მარტს გამართული იყო საუბარი საეპარქიო მისიონერის ბოგოლიუბოვისა ბევრის მართლმადიდებელის თანადასწრებით; საუბრის ბოლოს ეკკლესიაში მყოფნი თავს დაეცნენ შტუნდისტებს; ზოგიერთა შტუნდისტებს სუბუქად სცემეს. პოლიციამ შეაჩერა ბრბო“.

ხარკოვი. საოლქო სასამართლომ გარდაცვალებული ალჩევსკი აღიარა გაკოტრებულად.

კალუგა. დაარსდა სამზრუნველო სახალხო განათლების შესახებ.

მოსკოვი. უმთავრესის შტაბის ოფიცრებმა გუშინ სადილით პატივი სცეს აღმოსავლეთიდგან ჩამოსულ საფრანგეთის პოლკოვნიკს მარშანს, კაპიტანს სოვაჟს და კაპიტანს ალლერს. საფრანგეთის უმთავრესის შტაბის უფროსს გაუგზავნეს დეპეშა. მარშანმა საპასუხო სიტყვა სთქვა რუსეთის არმიის სახელის შესახებ.

ჟიტომირი. დაარსდა ახალი საზოგადოება ნოქართა საურთიერთო დაზღვევისა.

ქრისტიანია. რიტცაუს სააგენტოს ატყობინებენ, რომ შეკრულ იქმნა პირობა ნარვიკიდგან შვეციის საზღვრამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. მეორე გზა შვეციის ჩრდილოეთ გზასთან შესაერთებლად გათავებული იქნება იმავე დროისთვის. დარჩება მხოლოდ მცირე ადგილი შვეცია-ნორვეგიის და ფინლანდიის რკინის გზების სრულიად შესაერთებლად.

19 მარტი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დიდის მთავრის ცოლის ელისაბედ თეოდორეს ასულის თანადასწრებით ინახულა შინა-მრეწველობის გამოფენა. „პრავიტელს. ვესტნიკში“ დაბეჭდილია ინსტრუქცია შრომის სახლთა სამზრუნველოების მიერ დამშეულ ადგილებში გაგზავნილ პირებისათვის:—მცირე კომისიამ, რომელიც ანრეპის თავმჯდომარეობით იხილავს ახალის საშუალო სკოლის სამოსწავლო-სააღმზრდელობრო საქმესთან დაკავშირებულს საგნებს, ის აზრი გამოსთქვა, რომ ფიზიკური ვარჯიშობანი უნდა წარმოებდეს ყოველდღე გაკვეთილების შუა, რამდენად შეიძლება გარედ ჰაერზე. საჭიროა მოწყობა ფიზიკურ ვარჯიშობის ხელმძღვანელთა მოსამზადებელ ინსტიტუტისა. „ტორგოვო-პრომ. გაზეტა“ იუწყება, რომ მიწათ-მოქმედების მინისტრი ერმოლოვი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად—კორესპონდენტად.

სიმლა. პენჯაბში შავი ჭირია; ორთა შუა რიცხვით თვეში 70 ათ. კაცი კვდება; მიღებულია ზომები, რათა ჭირი არ გავრცელდეს სიმლაში.

ბერლინი. გარდაიცვალა ცნობილი კათოლიკური დეპუტატი ლიბერი.

პრეტორია. შოკ-ბურგერის ცდამ, რომ მოლაპარაკება ჩამოეგდო შტეინთან, უნაყოფოთ ჩაიარა.

კიევი. შტაბს-კაპიტანმა საფრონოვმა სამჯერ ესროლა რევოლვერი პოდპორუჩიკს გროდსკის, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ფიქრობენ, რომ მკვლელობის მიზანი რომანტიულია.

ასხაბადი. ამუ-დარიის ფლოტილიის უფროსი ტერსკი ჩარჯუიდგან პეტერბურგში იმიტომ წავიდა, რომ გადაწყვეტილ იქმნას, თუ როგორის ტიპის გემები უნდა იყოს ამუდარიაზე. ორი გემი ჩარჯუი-ტერმეზისათვის იქნება, ერთიც ჩარჯუის პორტისათვის.

მოსკოვი, ობერ-პოლიცმეისტერის მიერ მთხოვნელების მიღების დროს, ერთმა მთხოვნელმა ქალმა რევოლვერი ესროლა გენერალს ტრეპოვს, მაგრამ რევოლვერი არ გავარდა; დამნაშავე შეიპყრეს, იგი საოჯახო მასწავლებელი ალლარტია.

ტვერი. ტვერის ბუნების მეტყველების მოყვარულთა საზოგადოებას მოუტანეს მამონტის ნაწილი, რომელიც გლეხებს უპოვნიათ ნოვო-ტარუსის მაზრაში 5 არშინის სიღრმეზე-

პერა. დოლინას და აუერის მიერ პიანისტ მიკლაშევსკის მონაწილეობით რუსეთის საელჩოში გამართულმა კონცერტმა საუცხოვოდ ჩაიარა; დაესწრნენ სადიპლომატო კორპუსი ელჩის ზინოვიევის თანადასწრებით და რამდენიმე მოხელე ოსმალეთისა.

ოდესა. შეპყრობილ იქმნა გოპპი, რომელიც მთელს რუსეთში არიგებდა ოდესაში არ არსებულ საათების და ოქროს ნივთების ფაბრიკის ,,მანჯურიის'' პრეისკურანტებს, მის ბინაზე იპოვეს წერილები შემომკვეთელებისაგან, ციმბირიდგან გამოგზავნილიც-კი და ფულის საფოსტო უწყებები.

პეტერბურგის ბირჟა 8 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^{5}/_{8}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$93^{3}/_{4}$ წვრ.გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$470^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$369^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც, სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	307 გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$94^{7}/_{8}$
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$83^{1}/_{4}$ გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ, საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10,671 წვ. გაყ.
აქციები ,,	531 გაყიდ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	4,750 გაყიდ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	435 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	—
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	226 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (49ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

გურის პოლკი

ამით აცხადებს, რომ მომგებიანი ბილეთები პირველის შინაგანის სესხისა №№ $^{6}/_{6683}$ და $^{21}/_{18927}$ და მეორე სესხისა №№ $^{5}/_{14614}$ და $^{5}/_{10904}$, რომელიც ინახება პოლკში და რომელიც გადმოეცა წინად ყოფილ გურიის დრუჟინისაგან, **ამა წლის პირველ ივლისს იქმნება გასყიდული.** მოვიწვევთ იმათ, ვისაც ამ ბილეთებში წილი უდევთ, შეგვატყობინონ, როგორ მოვექცეთ ბილეთებში აღებულს ფულს და თან ისიც იქონიონ მხედველობაში, რომ 1 **ივლისის შემდეგ არავითარის პრეტენზიის გამოცხადება აღარ იქმნება მიღებული.** ეს განცხადება შეეხება ყოფილ გურიის დრუჟინის სამხედრო კაცთ: გიორგი ბერიძეს, ივანე და ნიკოლოოზ დუმბაძეს, თ. თ. თომასა და სევასტი ერისთავთ, თ-თ. ფარსადანსა და ლევან მიქელაძეებს, იასონ აბაშიძეს, ევსტათი ანთაძეს, გრიგოლ გაბაშვილს და რომანოზ დარჩიას. (3—314—1)

ეკატერინენფელდის (ბორჩალ. მაზრა) **ნიშის ასაშენებლად დაწესებული კომიტეტი** ხელ-მეორედ აუწყებს და სთხოვს ყველას, ვისაც შარშან-წინ გაეგზავნა ხელის-მოსაწერი ფურცლები, საჩქაროდ გამოგზავნონ ან შეწირულებანი, ან მარტო ფურცლები. პირველსაცა და მეორესაც კომიტეტი დიდის მადლობით მიიღებს. ხელის-მოსაწერი ფურცლები საჭიროა მალე დაიბრუნოს კომიტეტს სამის წლის ანგარიშის შესადგენად და ეპარქიალურ მთავრობასთან წარსადგენად. ახალი შემოწირულებანი მიღებულია: ბ. მთავარ-მართებლისაგან 100 მ., მ. იოანნე კრონშტადტელისაგან 100 მ., ი. თ. ბოგაჩისაგან 20 მ., მარიამ არღუთინსკისაგან 25 მ., სარაჯოვისაგან 25 მან., ენაკოლოფოვისგან ბორჩალოდან 1 მ. Адресъ: Шулаверы. Комитету по постройкѣ въ Екатериненфельдѣ православной часовны.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდელი სტეფ.
(3—2) ბაიდოშვილი.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. კ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მაღლის ქვის	5 ,,
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია.	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკის.	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. 30 ,,
გლეხ-კაცის ისტორია, III - IV ტ.	1 მ. 20 ,,
გამზრდელი, აკაკის	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 ''
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენის	8 ,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	60 ,,
აერო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძის	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბების.	15 ,,
იანიხარი, დ. ნახუცრიშვილის.	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II არ. ქუთათელაძის	60 ,,
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 ,,
კანდელი, მ. ღელაშვილის	15 ,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანის	1 მ. 20
ლექსები განდეგილის	,, 50
ევდოშვილის	,, 50
რ. აბაშიძის	,, 60
დ. გაბრუაშვილის	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილის	,, 40
მუშათა კითხვა	,, 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონჩოშვილის	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის.	,, 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,, 10
ნათელა, აკაკის	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძის.	,, 50
სხივი წარსულის, ი. გოგებაშვილის.	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრის, ი. გოგებაშვილისა	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-ს	,, 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანის.	,, 20

Дозволено цензурою. Тифлисъ 19 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.